



სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს # 42 დადგენილებით
„ 19 “ „ აგვისტოს “ 2019 წელი

დამტკიცებულია ცვლილებებით
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს # 63 დადგენილებით
„ 05 “ „ ნოემბერი “ 2021 წელი

დამტკიცებულია ცვლილებებით
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს #73 დადგენილებით
„ 29 “ „ დეკემბერი “ 2023 წელი,

დამტკიცებულია ცვლილებებით
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს #42 დადგენილებით
„ 2 “ „ სექტემბერი “ 2025 წელი



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

საექთნო საქმე

0913

პროგრამის ხელმძღვანელები:

მარეხი ადანაია; ნანა დემურია

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: სენაკი, მშვიდლობის ქ, N 192

ვებ გვერდი : www.zssu.ge

ზუგდიდი
2025 წელი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - საექთნო საქმე / Nursing
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: 09109-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCED) მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „საექთნო და სამედიცინო საქმე“, კოდი 0913, აღმწერი - *“შეისწავლის ავადმყოფი, სნეული ან სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას და ექიმებისა და სხვა სამედიცინო და ჯანდაცვის პერსონალისთვის დახმარების გაწევას პაციენტების დიაგნოზის დასმისა და მკურნალობის დროს. საექთნო საქმის კვალიფიკაცია ფოკუსირებულია ავადმყოფობისა და რეაბილიტაციის დროს პაციენტების ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და მოვლაზე. ის მოიცავს მოხუცების და ასევე სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების ჯანდაცვას. სამედიცინო საქმე შეისწავლის ქალის მოვლას (ჯანმრთელობის დაცვას) ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში. ის ასევე მოიცავს ჩვილის მოვლასა და დახმარებას მეძუძური დედებისთვის.”*

4. მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი.

5. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმშობლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 86.1; 86.10; 86.10.0; 86.2; 86.21; 86.21.0; 86.22; 86.220; 86.23; 86.23.0; 86.9; 86.90; 86.90.0.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3221

7. მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირობისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

8. სტრუქტურა და მოდულები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 180 კრედიტს და მოიცავს:

- ✓ ზოგადი მოდულები - **9 კრედიტი**
- ✓ თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - **24 კრედიტი**
- ✓ თეორიული სწავლება საექთნო საქმე - **45 კრედიტი**
- ✓ თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - **6 კრედიტი**
- ✓ პრაქტიკული სწავლება - **6 კრედიტი**
- ✓ კლინიკური სწავლება - **90 კრედიტი**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე - კლინიკური სწავლების კომპონენტს. კლინიკური სწავლება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული მოცულობის ნახევარს (90 კრედიტი) შეადგენს. კლინიკური სწავლების გარდა, პრაქტიკული სწავლების პროფესიული მოდულების განხორციელება დაგეგმილია როგორც პრაქტიკის ობიექტზე, ასევე უნივერსიტეტის სენაკის ბაზაზე (მშვიდობის ქ. N192), სწავლება-სწავლის პროცესის ხანგრძლივობაა სამი წელი, სრული დატვირთვით (სრული დავტვირთვა პრაქტიკული და კლინიკური სწავლებისას კვირაში არანაკლებ 35 საათი). უნივერსიტეტი პასუხისმგებელია თეორიული და კლინიკური მეცადინეობის დაგეგმვა-კოორდინაციაზე.

საექთნო საქმე			
ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება		კრედიტი
1	საინფორმაციო ტექნოლოგიები-საექთნო საქმეში		2
2	კომუნიკაცია საექთნო საქმეში		2
3	ინგლისური ენა - საექთნო საქმეში		5
	ჯამი		9
თეორიული სწავლება - საბაზო მეცნიერებები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
4	ჰისტოლოგია	---	2
5	ბიოქიმია	---	4
6	მიკრობიოლოგია	---	4
7	ანატომია-ფიზიოლოგია	---	10
8	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)	ანატომია-ფიზიოლოგია	4
	ჯამი		24
თეორიული სწავლება- საექთნო საქმე			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
9	დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში	---	4

10	ფარმაკოლოგია	ბიოქიმია; მიკრობიოლოგია	5
11	ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში	---	2
12	ინფექციის კონტროლის საფუძვლები	მიკრობიოლოგია	2
13	გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)	3
14	ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	პათოლოგია	6
15	თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)	7
16	გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)	3
17	კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)	5
18	სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)	2
19	პედიატრია და მოზარდები	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)	3
20	ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	---	3
	ჯამი		45

თეორიული სწავლება სოციალურ მეცნიერებებში		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
21	საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში	1
22	სამართლებრივი ასპექტები საექთნო საქმეში	3
23	საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები	2
	ჯამი	6

პროფესიული მოდულები - პრაქტიკული სწავლება (შესაძლებელია როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასევე კლინიკაში)			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
24	ავადმყოფის მოვლა	დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში	4
25	შინმოვლა	ავადმყოფის მოვლა	2
	ჯამი		6

პროფესიული მოდულები - კლინიკური სწავლება			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობან	კრედიტი
26	კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა	ავადმყოფის მოვლა; ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	11
27	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა	კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა	6
28	კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	ავადმყოფის მოვლა, თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	11
29	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	6
30	კლინიკური პრაქტიკა- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა	ავადმყოფის მოვლა, გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	10
31	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა	კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა	5
32	კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა	ავადმყოფის მოვლა; კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია	12
33	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა	კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა	4
34	კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	ავადმყოფის მოვლა; სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	6
35	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა -	კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის	3

	სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	საექთნო მართვა	
36	კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები	ავადმყოფის მოვლა; პედიატრია და მოზარდები	7
37	შემავადმყოფელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები	კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები	3
38	კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	ავადმყოფის მოვლა; ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	3
39	შემავადმყოფელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	3
	ჯამი		90

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:

- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - **180 კრედიტი** -
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- **210 კრედიტი**-
(ქართული ენა A2-15 კრედიტი, (ქართული ენა B1-15 კრედიტი)
-ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- 31 სასწავლო თვე
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- 37 სასწავლო თვე

9. სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა
2. განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
3. განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
4. განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
5. განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა

6. განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა
7. განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
8. განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
9. განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა
10. განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
11. დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე - ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

კლინიკური სწავლების მოდულების შეფასების ინსტრუმენტად და მტკიცებულებად, ტრადიციული ინსტრუმენტების ალტერნატივად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პროფესიული სტუდენტის მიერ დეტალურად შევსებული და კლინიკური მოდულის განმსაზღვრელი პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ჩანაწერების ჟურნალი,

განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

კურსდამთავრებულს პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რაზეც რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები (180კრ.) და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირის სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძველი:

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2018 წლის 21 მაისის N407/ი ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი „საექთნო განათლება“, რომელშიც ცვლილება შევიდა ცენტრის დირექტორის 2021 წლის 10 სექტემბრის № 895052 ბრძანებით.

14. პროგრამის განხორციელების ფორმა - კოოპერაციული

დანართი 1- მოდულები

დანართი 2-სასწავლო გეგმა

დანართი 3 - მატერიალური რესურსი

დანართი 4- ადამიანური რესურსი